პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 215 (6270)

1978 წ. 1 ნოემბერი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

უეფა-ს თასზე



• ორბრძოლიანი ორი გუნდის თამაში

ორ გუნთიანი ვალი გასასტუმრებელია



# ლიდერობს რუსეთის ფედერაციის ნაკრები

**მზე** კომპლექსის მრავალჭიდში სსრ კავშირის V ჩემპიონატის მონაწილეებს, რომლებიც გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზებისთვის იბრძვიან ერევნის „რაზდანის" სტადიონზე, პირველ დღეს შეჯიბრება მძლეოსნობაში ჰქონდათ. როცა ყველა შედეგები შეჯამდა, გაირკვა, რომ საქართველოს ნაკრები V ადგილზე იმყოფებოდა. ლიდერობა ხელთ იგდო რსფსრ-ს ნაკრებმა — 1388 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე იყვნენ უკრაინისა (1274) და ლატვიის (1226) კოლექტივები.

პირად ტურნირში, პირველი საფეხურის ნიშნოსანთა შეჯიბრებაში, გოგონათა შორის დაწინაურდა ი. რუსინოვა (რსფსრ I), ხოლო ვაჟებს შორის — მოსკოველი ა. რეზნიკი.

როცა მეორე საფეხურის კომპლექსის ნიშნოსნებმა პნევმატური შაშხანიდან სროლა დაამთავრეს, ლიდერებიც გაირკვნენ — ყველაზე მეტი ქულები მოუგროვდათ ტ. ივანოვას (რსფსრ I) და ი. ბუტაკოს (ბელორუსია).

მესამე საფეხურზე ორი სახეობის მერე (100 მეტრზე რბენა და ხელყუმბარის ტყორცნა) დაწინაურდნენ ო. ზიბარევა (რსფსრ I) და ლ. ჩელოვანი (უკრაინა). ზიბარევამ ხელყუმბარის ტყორცნაში იმარჯვა — 47,68 მ, ხოლო ჩელოვანმა სპრინტი მოიგო — 12,6. ორი სახეობის მერე მათ თანაბარი ქულები ჰქონდათ. ვაჟთა შორის ჭერჭერობით ყველაზე კარგად მიდის ნ. ალექსანდროვი (რსფსრ I).

ლენინგრადელი ნ. ივანოვა ბაქოში გამართულ III ჩემპიონატში მესამე საფეხურის ნიშნოსანთა შორის უძლიერესი გახლდათ. ახლა იგი IV საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში ცდის ძალას და აქაც ლიდერობს. ვაჟებში წინ არიან ორგზის ჩემპიონი ვ. ანტიმონოვი (ყაზახეთი) და უკრაინელი მ. ზიმა.

კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილმა ამ შეჯიბრებამ 455 სპორტსმენს მოუყარა თავი. ყველა საფეხურზე ბრძოლა საინტერესოა, მაგრამ V საფეხური მაინც სულ სხვაა — აქ ხომ ყველაზე ხანმესულნი ცდიან ძალებს. მამაკაცებს შორის დაწინაურდა მასპინძელთა გუნდის წევრი ლ. სარქისიანი (60 მეტრი 7 წამში გაირბინა, ხოლო ხელყუმბარა 59,48 მეტრზე ტყორცნა) — 77 ქულა.

## ჭადრაკი

### ოსტატობის ნორმატივი შეასრულეს, მაგრამ...

**ქუთაისი, 31 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** ვ. ქარსელაძის მემორიალზე გაიმართა მომდევნო სამი ტური. X ტურში ზ. სტურუა — ი. ესტრინის შეხვედრაში გათამაშდა ლაზიერის გამბიტი. თბილისელმა მოჭადრაკემ მეტოქეს ეტლი შეწირა და 25 სვლაში ლამაზად გაიმარჯვა. ვ. ოსნოსმა დაამარცხა შეჯიბრების ლიდერი ბ. გურგენიძე. ზ. აზმაიფარაშვილმა ენდშპილში წააგო დ. გედევანიშვილთან. ყაიმზე შეთანხმდნენ ა. ლუტიკოვი — მ. დვორეცკი, რ. ხოლმოვი — ს. დოლმატოვი, გ. ზაიჩიკი — მ. პოდგაეცი. გადადებულ პარტიაში ე. გუფელდს მცირე უპირატესობა აქვს ვ. ლერნერთან.

XI ტურში უკვე ახალი ლიდერი სტურუა დამარცხდა პირველად. პოდგაეცთან შეხვედრაში იგი უხარისხოდ დარჩა. ენდშპილში ზუსტი თამაშით დვორეცკიმ ხოლმოვი დაამარცხა. დაზავდნენ დოლმატოვი — გუფელდი და გურგენიძე — აზმაიფარაშვილი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

XII ტურში აზმაიფარაშვილს ოსნოსმა ფიგურა შეწირა, მაგრამ ქართველმა მოჭადრაკემ შეტევა მოიგერია და მნიშვნელოვანი ქულა მიიღო. ხოლმოვმა მოუგო გედევანიშვილს, ხოლო დოლმატოვმა — ზაიჩიკს. ყაიმზე შეთანხმდნენ ლუტიკოვი — გურგენიძე, ესტრინი — პოდგაეცი. სტურუას ლერნერთან გადადებულ პარტიაში პაიკი მეტი აქვს, ხოლო გუფელდს უმჯობესი პოზიცია აქვს დვორეცკისთან.

მემორიალის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ცხრილის სათავეში არიან გურგენიძე და აზმაიფარაშვილი — 7-7 ქულა. სტურუას აქვს 6,5 ქულა (1 გადადებული), დოლმატოვს 6,5, ლუტიკოვს, დვორეცკისა და გედევანიშვილს 6-6 (1-1), ხოლმოვსა და პოდგაეცს 6-6 (ხოლმოვი თამაშის განუახლებლად დანებდა ლერნერს).

შეჯიბრებაში დაწესებულია ოსტატის ნორმატივი — 6 ქულა. ორთავე ქართველმა ოსტატობის კანდიდატმა დაძლია ეს ნორმატივი, მაგრამ საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის ახალი წესებით ოსტატის წოდების მინიჭებისათვის საჭიროა, აგრეთვე სათანადო კოეფიციენტი. აზმაიფარაშვილს და გედევანიშვილს კოეფიციენტი ნორმაზე დაბალი აქვთ, ამიტომ ისინი უნდა შეეცადონ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის დაგროვებას იმისთვის, რომ გაზარდონ თავიანთი კოეფიციენტები.

### კვლავ წარმატებით

**ბუენოს-აირესში** მერვე საჭადრაკო ოლიმპიადაზე კვლავ წარმატებით გამოდის სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდი, რომელმაც მეოთხე ტურში ვენესუელის კოლექტივთან სამიდან ორი პარტია მოიგო (ერთი გადადებულია).

სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები მეოთხე ტურში კუბელთა წინააღმდეგ თამაშობდა. ანგარიშია 2,5:0,5 (ერთი პარტია გადაიდო). სსრ კავშირისა და რუმინეთის გუნდების მესამე ტურის შეხვედრის შედეგია 3:1 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

### პირველად ისტორიაში

**ირანის** დედაქალაქ თეირანის კორტებზე გაიმართა ჩოგბურთის ისტორიაში პირველი მატჩი ევროპისა და აზიის ნაკრებ გუნდებს შორის. ჩოგანის ევროპელმა ოსტატებმა — თბილისელებმა ა. მეტრეველმა და თ. კაკულიამ, ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელებმა პ. სლოჟილმა და ი. შიმბერამ დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 5:0.

## ჩოგბურთი



**გამარჯვებული** ყოველთვის ხალისით იძლევა ინტერვიუს. თბილისის „დინამოს" მეტოქის „ჰერტას" უფროსი მწვრთნელი კუნო კლიოტცერი, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არ არის, მით უმეტეს, რომ უამისოდაც საკმაოდ ენაწყლიანი თანამოსაუბრე გამოდგა.

30 ოქტომბერი. თბილისის აეროპორტში ბინდი კარგა ხნის ჩამოწოლილი იყო, როცა ტუ-134-ის ტრაპზე გერმანელთა სპორტული დელეგაცია გამოჩნდა. სტუმრები თავდაჭერილნი არიან, მაგრამ ყველაფრით იგრძნობა ოპტიმისტური განწყობილება, ფავორიტის სამოსელში გახვეულს მუდამ თან რომ სდევს.

საუბარიც ერთხანს შექმნილ სიტუაციის დასტრიალებს.

**— გაზეთები წერდნენ, რომ თქვენ კმაყოფილი დარჩით მატჩის შედეგით, თუ ასეა, ანგარიში 2:0 ალბათ საკმარისად უნდა მიგაჩნდეთ საბოლოო გამარჯვებისთვის.**

კლიოტცერი თანხმობის ნიშნად თავს გვიქნევს, მაგრამ პასუხი მაინც საკმაოდ ფრთხილი, თავშეკავებულია:

— გაზეთებმა სიმართლე დაწერეს. მე მართლაც კმაყოფილი დავრჩი შედეგით, თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ის ორი გოლი ამოუწურავი მარაგია. შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის ჯერ კიდევ მოგვიწევს ბრძოლა.

**— „დინამო", ბუნებრივია, მხოლოდ შეტევაზე იფიქრებს და თქვენი მთავარი იარაღი ამ მატჩში კონტრშეტევა იქნება, ამას გვკარნახობს საფეხბურთო ლოგიკა. ამბობენ, თქვენს გუნდს უყვარს და საკმაოდ ეხერხება კიდეც ამგვარი თამაში.**

— არ ვდავობ, ასეც მოხდება — ყველა გუნდი ვალდებულიც არის და უტევს კიდეც საკუთარ მინდორზე. ახლა, რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ კონტრშეტევა „ჰერტას" საყვარელი ტაქტიკაა, რომ მას ეხერხება ამგვარი თამაში: მატჩამდე ბევრი ლაპარაკი დარჩა და... ვნახოთ!

**— ხომ არ თვლიდა დასავლეთ ბერლინის პრესა, რომ საქმე მოთავებულია, ან იქნებ, თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს პრესის აზრს, თვალს ხუჭავთ ყველაფერზე, რაც იწერება?**

— ჩვენი პრესა მოკრძალებით მაინცდამაინც არ გამოირჩევა, მაგრამ ამ შემთხვევაში საოცრად რეალური პოზიცია დაიჭირა. გაზეთებში პროგნოზი არ გამოთქმულა. მიზეზი ალბათ „დინამოს" საკმაოდ კარგი თამაში იყო. სპორტული ჟურნალისტები ამას აღნიშნავდნენ კიდეც. ისე კი, პროგნოზებისა არა მწამს.

საუბარში „ჰერტას" ნახევარმცველი, გფრ-ს ნაკრების ყოფილი მოთამაშე ერიჰ ბეერი ერთვება.

**— ჩვენ ვნახეთ „დინამოსა" და „ნაპოლის" ნეაპოლური მატჩის ვიდეოჩანაწერი. მომეწონა თქვენი გუნდი. რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია ძლიერი და სუსტი მხარეები, მაგრამ ერთიც არის: იმ მატჩში „დინამოს" ორი გურთის მარაგი ჰქონდა და გუნდსაც არც თუ ძნელი ამოცანის გადაწყვეტა მოუხდა. ახლა თქვენი ფეხბურთელები, ასე ვთქვათ, „ნაპოლის" ტყავში იხრუკებიან. სავსებით საპირისპირო სიტუაციაა.**

**— ვინ მოგეწონათ თქვენი მეტოქეებიდან?**

— გუნდის კაპიტანი მაჩაიძე, შენგელია და ყიფიანი. ეს უკანასკნელი ბერლინში მაინცდამაიც ვერ გრძნობდა თავს კარგად.

**— თქვენი უშუალო ამოცანა მომავალ მატჩში?**

— ვითამაშებთ დარახელიას წინააღმდეგ. დანარჩენს ვერაფერს გეტყვით.

სანამ ბეერთან ვსაუბრობდით, კლიოტცერი ჟურნალისტთა ალყაში აღმოჩნდა. მწვრთნელის „დაბრუნება" არც თუ იოლი საქმე გამოდგა.

**— ბეერი პირველ მატჩში ფორვარდით (მერსდორფი) შეცვალეთ. თბილისში, გასაგები მიზეზების გამო, ის ალბათ მატჩის დამთავრებამდე დარჩება მინდორზე.**

— გეთანხმებით. თუ, რა თქმა უნდა, ვარჯიშზე ტრავმას არ მიიღებს.

**— სიტუაცია გკარნახობთ და თქვენვე თქვით, რომ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო იზრუნებთ. ჩვეული სქემის 4—4—2 ნაცვლად საფიქრებელია, რომ 5—4—1 ან 4—5—1-ს მიმართავთ.**

— ტაქტიკაზე ნუ ვილაპარაკებთ. ვითამაშებთ ისე, როგორც მდგომარეობა გვიჩვენებს.

**— ყველაზე უფრო რა გაფიქრებთ საპასუხო მატჩში?**

— მაღელვებს ატმოსფერო, რომელიც სტადიონზე იქნება. ეჭვი არ მეპარება, ტემპერამენტიანი მაყურებელი გყავთ. მაღელვებს ისიც, რომ ვაითუ ჩემმა გუნდმა ისე ითამაშოს (კლიოტცერს ეღიმება) თავშისაცემად გამიხდეს საქმე. ისე კი, ხუმრობა განზე იყოს და, ყიფიანი და შენგელია...

**— ამ კითხვაზე, ძალიან გთხოვთ, ყოველგვარი სტუმარ-მასპინძლური ეთიკის დაცვის გარეშე გვიპასუხოთ. თბილისის „დინამო" და ევროპული საკლუბო ფეხბურთის დონე.**

— „დინამო" კარგ ევროპულ ფეხბურთს თამაშობს, ასეთია მისი ძალა. ხასიათით კი დასავლეთ ევროპულ კლუბებს უფრო ჰგავს ვიდრე აღმოსავლეთისას. თქვენი გუნდი ყველაზე უფრო (კლიოტცერი წამით ჩაფიქრდა) „აინტრახტს" მაგონებს.

**— როგორ ფიქრობთ, დასავლეთგერმანულმა ფეხბურთმა შეაჩერა ზრდა თუ სხვებმა მოუმატეს. ან იქნებ, საქმე მხოლოდ ის არის, რომ არა ერთი და ორი ვარსკვლავი გაშორდა საფეხბურთო ორბიტას. ვგულისხმობთ გფრ-ის ნაკრების წარუმატებლობას არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში.**

— არგენტინაში უხეიროდ ვითამაშეთ. ეს ფაქტია. მაგრამ სურც ის დაგავიწყდებათ, რომ მუდამ პირველთა შორის ყოფნა შეუძლებელია. ჩვენი უკანასკნელი (რა თქმა უნდა, შედარებითი) წარუმატებლობა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ დასავლეთგერმანული ფეხბურთი ჩამორჩა, ერთ ადგილზე იტკეპნება. ვარსკვლავები წავიდნენ, მაგრამ ახალგაზრდებს შორის ბევრი ძალზე ნიჭიერი ფეხბურთელია.

**— რა ცვლილებაა მოსალოდნელი თქვენს გუნდში?**

— პირველი მატჩის მონაწილეთაგან, ტრავმის გამო არ ითამაშებენ სიდკა და ფიორსტერი. საეჭვოა ბლეჰშმიდტის მონაწილეობაც.

• • •

**გამარჯვებული** ყოველთვის ხალისით იძლევა ინტერვიუს, ხალისითვე ემზადება მორიგი ორთაბრძოლისთვისაც. გუშინ სტუმრებმა სავარჯიშო გაიარეს „დინამოს" სტადიონის მინდორზე, ივარჯიშეს. გასაგებია გერმანელ ფეხბურთელთა კარგი განწყობილება, მაგრამ დამარცხებულსაც (მით უფრო, რომ მარცხი პირველი რაუნდისაა) თავისი ანგარიშები აქვს. დღეს ქართველი ფეხბურთელები უეჭველად შემართულნი გამოვლენ „დინამოს" სტადიონის მინდორზე — ორბურთიანი ვალი გასასტუმრებელია.

საუბარი ჩაიწერა **დ. თორდიამ.**

• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** გერმანელთა სპორტული დელეგაცია თბილისის აეროპორტში; „ჰერტას" უფროსი მწვრთნელი კუნო კლიოტცერი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.






ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათი მძლავრი მარჯვენა

მსოფლიოს 32 ქვეყანასა და ჩვენი დიადი სამშობლოს მრავალ კუთხეში იგზავნება რუსთავული მარკის მილები, ფოლადის ფურცლები, ნაგლინი, აგლომერატი...

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა 1974 წლიდან დღემდე ზედიზედ 17-ჯერ დაიმსახურა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და ამ დარგის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო 1976-1977 წლების შედეგებით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. სახელოვანი მეტალურგები ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მიმდინარე წლის 9 თვის პროდუქციის გამოშვების გეგმა 101,3 პროცენტით გაანაღდეს. ამ მიღწევებში თავიანთი წვლილი შეაქვთ კომკავშირულ-ახალგაზრდული მილამდგავი საამქროს მშრომელებს.

აჩვენა ჩვენ გვინდა საამქროს ერთ-ერთი, მილების მომთუთიებელი უბნის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის შრომითსა და სპორტულ საქმიანობაზე გესაუბროთ.

ბრიგადას საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის დელეგატი, კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის წევრი დავით გაბიძაშვილი ხელმძღვანელობს.

კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ექვსი წლის წინათ ჩამოყალიბდა. უბნის უფროსს, ყოფილ მოჭიდავეს ნ. გაზაშვილს დიდი ხნის ფიქრი არ დასჭირვებია, ვისთვის ჩაებარებინა იგი, უყოყმანოდ დაასახელა მისი აღზრდილი დ. გაბიძაშვილი, რომელიც ადრე მილების გამსწორებლად მუშაობდა და საბჭოთა არმიის რიგებიდან რამდენიმე თვის დაბრუნებული იყო.

დავითმაც გაამართლა დამრიგებლის ნდობა: უბანზე, სადაც გაბიძაშვილი მუშაობს, მოთუთიებულ მილებს უშვებენ, ისინი ჩვეულებრივ მილებთან შედარებით 12-15-ჯერ უფრო მდგრადია. გამოშვებული პროდუქციის 90 პროცენტი ატეროსაჯანელ მენავთობეებთან მიდის, ნაწილი საზღვარგარეთ — კუბასა და სომალში იგზავნება. მოთუთიებულ მილებს 1976 წელს რუსთავის სამრეწველო პროდუქციებს შორის ერთ-ერთს პირველს მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

— ჩვენს ბრიგადაში შვიდი კომკავშირელი მუშაობს, — გვეუბნება დ. გაბიძაშვილი — სპორტი ყველას უყვარს. საამქროს გუნდები, რომლებიც საქარხნო სპარტაკიადებსა თუ პირველობებში მონაწილეობენ, ძირითადად ჩვენი ბრიგადის წევრებისგან შედგება და წარმატებებსაც ვაღწევთ. წელს ქარხნის სპარტაკიადაზე, რომელიც სპორტის 9 სახეობაში გაიმართა, საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დავიკავეთ...

შემდეგ იგი გვაცნობს ბრიგადის წევრებს.

— მილების მომწამვლელი ამირან კედელაშვილი „მეტალურგის“ ფეხბურთელთა გუნდის წევრი იყო; მოთუთიებული მილების გამსწორებელი პაატა მოხევიშვილი ძალოსანია, წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსთავის საღამოს სწავლების ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მილების მომწამვლელი არჩევან ჩუნაშვილი მოჭიდავეა. მოჭიდავეა, აგრეთვე, დამხარისხებელი ამირან გაბიძაშვილი, რომელმაც საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციისთანავე ჩვენს ბრიგადაში დაიწყო მუშაობა. მილების მომწამვლელი თემურ ჯიხვაშვილი მძლეოსანია. ყველანი სპორტის რამდენიმე სახეობაში მეცადინეობენ.

— შენზე რატომ არაფერს ამბობ? — საუბარში ჩაერია საამქროს პარტბიუროს მდივანი დ. სახვაძე.

— საამქროს ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი ვარ, საპრიზო ადგილზე ხშირად გამოვსულვართ, მაგრამ ვერა და ვერ შევძელით ჩემპიონის სახელი მოგვეპოვებინა. უკმაყოფილონი მაინც არ ვართ, სპორტი ხომ ჯანმრთელობის წყაროა და შრომაშიც ხელს გვიწყობს...

მილების ლითონით დაფარვის უბანმა მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა 106,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო ოქტომბრის დავალების შესრულება კომკავშირის დაბადების 60 წლისთავის იუბილესთვის გაანაღდა, რაშიც დიდი წვლილი შეაქვს კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას.

**რ. გაზრიძე.**

• • •

**სურათზე:** კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) ა. მოხევიშვილი, ა. ფოფხაძე, დ. გაბიძაშვილი (ბრიგადირი) და ა. გაბიძაშვილი.

ავტორის ფოტო.





# ერთი სკოლის ხარჯზე

**საქართველოს** პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების სპარტაკიადის პროგრამით თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამართულმა მძლეოსანთა შეჯიბრებამ ერთხელ კიდევ ხაზგასმით დაადასტურა, რომ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის რესპუბლიკას საჭირო ძალები არ გააჩნია.

კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ამ ასპარეზობაში, ყველა კოლექტივმა თითქმის სრული გუნდები გამოიყვანა. მაგრამ მერე, როცა საქმე საქმეზე მიდგა, მათი წარმომადგენლები რიგ სახეობაში სარბიელზე გვლარ ვიხილეთ, ან ჩასათვლელი ნორმატივი ვერ შეასრულეს, ამიტომაც ყველა საპრიზო ადგილი არ განაწილებულა.

ასე იყო მაგალითად, ქალების 100 მეტრზე თარჯრბენში, 200, 400 და 800 მეტრზე და სხვა ასპარეზობაში. მაგალითად, ვაჟთა შორის 5000 მეტრზე შეჯიბრებაში, სადაც ძალას მარტო ი. ციგულიოვი („ბურევესტნიკი“) და ფ. უმლოვი („სპარტაკი“) ცდილნენ.

სპორტსაზოგადოებების გუნდების ინტერესებს უმეტესად საქართველოს პროფსაბჭოს ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელები იცავდნენ. მათ კი ამ დღეებში ერთდროულად ორ შეჯიბრებაში ორ-ორი კოლექტივის ღირსებისთვის ბრძოლა უხდებოდათ — პარალელურად სპეციალიზებული სპორტსკოლის ღია პირველობაც მიმდინარეობდა, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების მძლეოსანთა დიდი ჯგუფები გამოდიოდნენ.

ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მასპინძლები მაღალ შედეგებს მიაღწევდნენ. სინამდვილეში მხოლოდ ერთმა — ბადროს მტყორცნელმა ნ. ლაბაძემ („ბურევესტნიკი“) მოახერხა სპორტის ოსტატის ნორმატივისთვის გადაეჭარბებინა, თუმცა არც მისი შედეგი ჩაითვლება ამ უდავოდ ნიჭიერი ქალის საუკეთესო მაჩვენებლად.

რ. ბაირამოვმა („ლოკომოტივი“) შუბის ტყორცნაში შეძლო სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი ეჩვენებინა. ეს არის და ეს. მართალია, სპარტაკიადის მონაწილენი 38 პირველი თანრიგის შედეგებს შეეწყვნენ, მაგრამ თუ მათ ხალხთა სპარტაკიადის საზომით მივუდგებით, ისინი იქ, მოსკოვის სტარტებში არაფრის მომცემია.

ამ ტურნირმა დაადასტურა, რომ სპორტსაზოგადოებების უმეტესობაში მძლეოსნობის განვითარებისთვის არაფერს აკეთებენ. შეჯიბრებისთვის ისინი ზემოთ აღნიშნული სპეციალიზებული სპორტსკოლის იმედით არიან, სკოლა კი ყველას ვეღარ წვდება. ეს იმედი გაუმართლებელიცაა, რადგან მარტო ერთ სპეციალიზებულ სპორტულ სკოლას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ხალხთა სპარტაკიადისთვის ხეირიანი კონტინგენტის მომზადების უნარი აღმოაჩნდეს. მან 10-12 ასეთი სპორტსმენი რომ მოგვცეს, ესეც ბევრია.

დასამალი როდია, რომ ამ სკოლას ზამთარში მუშაობის სათანადო პირობები არ გააჩნდა, ამიტომაც მცირე ჯგუფებით წვრთნას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის მანეჟებში ატარებდა. მალე ეს ნაკლიც გამოსწორდება — ზამთრის სეზონისთვის მწყობრში ჩადგება სკოლის დახურული ბაზა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

სპარტაკიადაში გუნდური პირველობა „კოლმეურნემ“ მოიპოვა. მან 267 ქულა მოაგროვა და 34 ქულით ჩამოიტოვა „ბურევესტნიკი“. III ადგილზეა „სპარტაკი“ — 209 ქულა. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: „განთიადი“ — 175 ქულა, „ლოკომოტივი“ — 121, „შრომითი რეზერვები“ — 25.

ძალთა შეფარდება ამ მონაცემებიდანაც კარგად ჩანს: „კოლმეურნემ“ წარმატებას იმით მიაღწია, რომ გუნდის დაკომპლექტებისთვის სხვებზე მეტი იზრუნა, არც მარტო მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის იმედზე დარჩენილა, რესპუბლიკის რაიონებში აღზრდილი ათლეტები გუნდში თამამად შეიყვანა და პირველობაც მოიგო, ხოლო „შრომითი რეზერვები“ იმავე სკოლის დაუხმარებლად საკუთარი ძალებით გამოვიდა, თვითონ კი როგორც ვნახეთ, ძალიან უსუსურად გამოიყურება. ამ საზოგადოებაში დასაქმებული თითო-ოროლა მძლეოსანი, ცხადია, ამინდს ვერ ქმნის.

აი, ის სპორტსმენები, რომლებსაც სპარტაკიადაში პირველი ადგილები მიეკუთვნათ: **ქალები. რბენა. 100 მ.** მ. აზარაშვილი („კოლმეურნე“) — 12,3; **200 მ.** შ. ონიაშვილი („განთიადი“) — 26,6; **400 მ.** ონიაშვილი — 59,7; **800 მ.** ლ. წიწილაშვილი — 2.11,4; **100 მ თარჯრბენი.** მ. აზიანიძე — 16,0; **სიმაღლეზე ხტომა.** მ. ახალშენიშვილი (ყველა — „კოლმეურნე“) — 165; **სიგრძეზე ხტომა.** გ. ქორფაშვილი („სპარტაკი“) — 535; **ბადროს ტყორცნა** ნ. ლაბაძე — 56,63; **შუბის ტყორცნა.** დ. საბური — 48,10; **ბირთვის კვრა.** ს. გუმბა (ყველა — „ბურევესტნიკი“) — 13,25.

**ვაჟები. რბენა. 100 მ.** ვ. ივანოვი („ლოკომოტივი“) — 10,7; **200 მ.** ა. იავალოვსკი — 22,6; **400 მ.** ა. ნეკრასოვი (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 49,3; **800 მ.** გ. შოშიაშვილი — 1.55,8; **1500 მ.** ვ. ფედოროვი (ორივე — „კოლმეურნე“) — 3.55,2; **5000 მ.** ი. ციგულიოვი — 14.47,0; **თარჯრბენი 110 მ.** ა. ახვლედიანი (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 15,4; **400 მ.** ვ. ზენინი („განთიადი“) — 58,8; **სიმაღლეზე ხტომა** ო. ლოხმინი — 205; **სიგრძეზე ხტომა.** ვ. ბერიშვილი (ორივე — „ლოკომოტივი“) — 709; **სამხტომი.** ა. სხირტლაძე („სპარტაკი“) — 15,19; **ჭოკით ხტომა.** ს. ამოსოვი („ბურევესტნიკი“) — 470; **ბადროს ტყორცნა.** ვ. საბანაძე — 47 მ, **შუბის ტყორცნა.** რ. ბაირამოვი (ორივე — „ლოკომოტივი“) — 71,90; **უროს ტყორცნა.** გ. ბედოშვილი — 56,70; **ბირთვის კვრა.** თ. ნაცვალაძე (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 15,63.

• • •

**სურათებზე:** მ. აზარაშვილი; 1500 მეტრზე რბენის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# ესტაფეტის ფინიში

**29 ოქტომბერს** — კომკავშირის 60 წლის დღეს თბილისში, კუს ტბის მიდამოებში გაიმართა დიდი სპორტული დღესასწაული, რომელიც „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს მიერ მოწყობილი ესტაფეტის — „სწავლა, სპორტი, კომკავშირი“ — წარმატებით დამთავრებას მიეძღვნა.

შუადღისას შედგა ესტაფეტის ფინიში. მიკროავტობუსები, სარბოლო ავტომობილები, მოტოციკლისტები, ველოსიპედისტები ერთიან ლამაზ კოლონად შევიდნენ ტურისტულ ბანაკში. პატაკი მიიღო საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ დ, იოსელიანმა,

ამ დროისთვის რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურულ კოლექტივებში უკვე მომზადებული იყო ათობით სპორტის ოსტატი, ასობით პირველთანრიგოსანი, ათასობით მასობრივი თანრიგის სპორტსმენი, კიდევ უფრო განმტკიცდა კომკავშირული ორგანიზაციებისა და სპორტკლუბების კავშირი.

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობამ კომკავშირის იუბილისა და „ბურევესტნიკის“ ესტაფეტის აღსანიშნავად ვადამდე გაანაღდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები.

აქ, კუს ტბის მიდამოებში გაიმართა ტურისტული შეკრება, რომლის ესტაფეტა რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა (ზურგჩანთით რბენა, ჭაობის გადალახვა, ნავით ტბის გაცურვა, ხელყუმბარის ტყორცნა, „სათაგურის“ დაძლევა, „დაჭრილის“ გადაყვანა, კარვის გაშლა, ცეცხლის დანთება).

ყველაზე მეტად ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები გამოირჩეოდნენ, რომლებმაც საერთო გუნდური პირველობა მოიგეს. მათვე იმარჯვეს საბანაკო ქალაქის საუკეთესო გაფორმებაში.

ესტაფეტაში ყველას უცხო ენების ინსტიტუტის გუნდმა აჯობა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ფიზკულტურისა და თეატრალური ინსტიტუტების კოლექტივები.

სტუდენტთა დღესასწაულმა ხელი შეუწყო მშდ ნორმატივების მასობრივ ჩაბარებასაც.

**გ. კოვალიოვი.**

# ოთხთა ტურნირი

**სამტრედიაში** დამთავრდა „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. პირად-გუნდურ ასპარეზობაში მონაწილეობდა ოთხი გუნდი — 24 ჩოგბურთელი.

დაძაბულად წარიმართა მასპინძელთა შეხვედრა ერევნის გუნდთან. სამტრედიელებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრა, გაიმარჯვეს ანგარიშით 5:4 და მოიპოვეს გუნდური პირველობა. მეორე ადგილზეა ერევნის გუნდი, მესამეზე — თბილისის მეტროპოლიტენის ნაკრები.

პირად ჩათვლაში ასევე სამტრედიელებმა გაიმარჯვეს — ვაჟებში გ. წილოსანმა, ქალებში — ს. კარაპეტიანმა.

**ბ. ხირაძე.**

# მეორე ადგილზე

**ხარკოვში** დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ქალთა ძიუდოში, რომელშიც 16 ქალაქის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ.

პირველი ადგილი მოიპოვა მოსკოვის კოლექტივმა. თბილისელი ძიუდოისტები მეორე ადგილზე გავიდნენ.

# პირველი ფინალისტია „სლავა“

**კვირას** მოსკოვში გაიმართა რეგბიში სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი დედაქალაქის „ლოკომოტივსა“ და „სლავას“ შორის. უაღრესად დაძაბული ბრძოლა მოიგო „სლავამ“ — 7:3 და ფინალში გავიდა.

სხვა ფინალისტის ვინაობას გაარკვევს მეორე ნახევარფინალი, რომელიც 3 ნოემბერს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩატარდება. აქ ერთმანეთს ხვდებიან ადგილობრივი რკინიგზელები და ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის სპორტსმენები.

მატჩი 16 საათზე დაიწყება.

ფეხბურთი

# „დინამო“ თუ „ჰერთა“?

დღეს დიდი მატჩია თბილისში! საინტერესო საფეხბურთო სპექტაკლს გვპირდება იგი.

„დინამო“ თუ „ჰერტა“!

აგერ მერამდენე წელიწადია ქართველმა ფეხბურთელებმა ვერა და ვერ გადალახეს „საშემოდგომო ევროპული ბარიერი“. იქნებ ამჯერად მაინც შემობრუნდეს ფორტუნა. არა, სპორტული იღბალი თუ უიღბლობა აქ არაფერ შუაშია. საჭიროა შემართება, ტემპი, შეტევა და გამარჯვების რწმენა, საჭიროა მაღალი საფეხბურთო კლასი — მტკიცე სათამაშო დისციპლინა, კოლექტივიზმის პრინციპებს დაქვემდებარებული იმპროვიზაცია, მარჯვე ტაქტიკა და სტრატეგია. წლევანდელ „დინამოს“ ყველაფერი ეს გააჩნია, არც მიზანსწრაფვა და ბრძოლისუნარიანობა აკლია. ასე რომ, დღეს მოვლენები ლოგიკის საწინააღმდეგოდ არ უნდა წარიმართოს. რა თქმა უნდა, გერმანელ ფეხბურთელთა საკმაოდ მაღალი რეპუტაციაც იმსახურებს ყურადღებას, ის ორგოლიანი პასივიც ანგარიშგასაწევია, დასავლეთ ბერლინიდან რომ გამოგვყვა, მაგრამ, სპეციალისტთა აზრით დინამოელებს არც თუ ისე ურიგო შანსი აქვთ უეფა-ს თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. თუმცა ეს პროგნოზია, სინამდვილეს კი უშუალოდ ორთაბრძოლა დაადგენს.

წლევანდელ საფეხბურთო შემოდგომას ოქროს ფერი დაჰკრავს. თბილისის „დინამოს“ ერთადერთი ქულა აშორებს სანუკვარ მიზანთან — საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულთან. შეიძლება უხერხულიც არის ამ მიმართებით საუბარი, თუმცა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის მედლები, სულ ცოტა ხნით, მაგრამ მაინც სახვალიო საზრუნავად იქცა. დღეს მთავარია უეფა-ს ტურნირი. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დავძლიოთ ის ზემოთქმული „ევროპული ბარიერი“, გარდა ამისა, საბჭოთა ფეხბურთის ლიდერის მინდორიც თავისას ითხოვს.

დიდ მატჩს ჩვეულებრივ დიდი აჟიოტაჟი სდევს წინ. ასე იყო მუდამ, ასეა ამჟამადაც. ქართველ და გერმანელ ფეხბურთელთა განმეორებითი შეხვედრა სპორტის მოყვარულთა ცხოველ ინტერესს იწვევს.

წინასასტარტო ციებ-ცხელება. უამისობა როგორ იქნება. იგი ერთნაირად იპყრობს სპორტსმენებსაც და გულშემატკივრებსაც.

ფეხბურთელი და მაყურებელი. ხასიათი სხვადასხვაა, სამყარო კი — ერთი: სპორტული სამყარო. გულშემატკივარი ამ სამყაროს აუცილებელი ატრიბუტია, როგორც თვით სპორტსმენი. რა იქნებოდა სპორტული პაექრობა უმაყურებლოდ? ძალისა და კუნთების უინტერესო ჭიდილი, ყოველგვარ მიმზიდველობას მოკლებული ორთაბრძოლა. არა, ჩვენს მაყურებელს გულგრილობასა და პასიურობას ვერ დასწამებ, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ფეხბურთს ეხება. „დინამოს“ განახლებულმა სტადიონმა, თვით ქართველ ფეხბურთელთა შემართებამ და გულმოდგინებამ მთლიანად აღადგინა გუნდსა და მაყურებელს შორის ერთ დროს დარღვეული კონტაქტები და კვლავ დღის წესრიგში დადგა „ზედმეტი ბილეთის პრობლემა“.

დიახ, ისინი, ქართული ფეხბურთის ქომაგნი და დამფასებლები, ათასობით არიან, ასეულ ათასობით, იმდენი, რომ ხანდახან ჩვენი გოლიათი სტადიონი სანახევროდაც ვერ იტევს (საბედნიეროდ, აქ ყოვლისმხილველი ტელევიზია ამბობს თავის სიტყვას). მოკლედ, ფეხბურთელებმა და გულშემატკივრებმა „ერთმანეთი მონახეს“, მაგრამ ეს ურთიერთკავშირი ამავე დროს ორმხრივ ვალდებულებას, უფრო მეტიც, ორმხრივ მოვალეობასაც გულისხმობს, რაც თავისთავად ნებისმიერი სპორტული პაექრობის უპირველესი ეთიკურ-ზნეობრივი კოდექსია. ამ კოდექსის თანახმად გუნდი ვალდებულია ბოლომდე რაინდულად, ვაჟკაცურად და პატიოსნად იბრძოლოს, რომ იტყვიან, ყველაფერი გაიღოს გამარჯვებისთვის, გულშემატკივარი კი ერთგულად უჭერდეს მხარს „თავის“ კოლექტივს და აფასებდეს ამ თავდადებას.

მაგრამ მხარდაჭერაც არის და მხარდაჭერაც! სტადიონზე მოსულ კაცს საყვარელი გუნდის ქომაგობას ვინ დაუშლის; გაგახარეს, დაუკარი ტაში, გაამხნევე კოლექტივი, მოუწოდე, შეუძახე კიდეც, მაგრამ თუ ჭეშმარიტი გულშემატკივარი ხარ, სტვენას ნუ დაიწყებ, ტრიბუნაზე აყალმაყალს ნუ ასტეხ, ეს, სხვა თუ არაფერი, არ შეგფერის, როგორც მასპინძელს. საწყენია, ნამდვილად, საწყენია, როცა ჭანსაღი ქომაგობა ზოგჯერ უხამს ღრიანცელში და ხულიგნურ გამოხდომებში გადადის. ქართველი კაცი ტრადიციულად გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით და ამ კარგი ტრადიციის დაცვა ყველაზე მეტად სწორედ სტადიონის ფართო აუდიტორიას მოეთხოვება...

მაშ ასე, დღეს დიდი მატჩია თბილისში! „დინამო“ თუ „ჰერტა“? ვნახოთ!

## უეფა-ს თასზე

# საპასუხისმგებლო შეხვედრის წინ

ახლა, როცა მთელი ყურადღება გამახვილებულია თბილისის „დინამოსა“ და დასავლეთ ბერლინის „ჰერტას“ განმეორებით მატჩზე უეფა-ს თასზე, მკითხველთათვის ურიგო არ იქნება გაეცნოს დასავლეთგერმანული და საბჭოთა კლუბების სტატისტიკურ მონაცემებს და მათგან გამომდინარე ფაქტებს ევროპის საკლუბო ტურნირებში.

საბჭოთა და დასავლეთგერმანულ კლუბებს კონტინენტის საკლუბო ტურნირებში სუპერთასის თამაშის ჩათვლით 9-ჯერ მოუხდათ ერთმანეთთან ბრძოლა. აქედან 5-ჯერ გაიმარჯვეს გფრ-ის კლუბებმა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კლუბებმა ოთხიდან სამჯერ მაშინ მიაღწიეს გამარჯვებას, როცა მეორე თამაშს შინ ატარებდნენ და მხოლოდ ერთხელ, 1975 წელს, ერევნის „არარატმა“ ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში „ბაიერნთან“ წაგების შემდეგ (0:2) მოიგო მხოლოდ მინიმალური ანგარიშით — 1:0. „ბაიერნმა“ იმ წელს ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

ამ ორი ქვეყნის გუნდების შეხვედრებში ხშირად გვხვდება ანგარიში 2:0. ასეთი 9 შემთხვევა იყო, აქედან ხუთჯერ მოიგეს საბჭოთა კლუბებმა. 1972 წელს უეფა-ს თასის მერვედფინალში „არარატსა“ და „კაიზერსლაუტერნს“ შორის შეხვედრები დამთავრდა 2:0, 0:2, ხოლო პენალტებით გაიმარჯვეს დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა.

თბილისელებმა დღეს რომ რევანში აიღონ ანგარიშით 2:0, დაინიშნება დამატებითი პენალტების სერია, ამიტომ დინამოელთა მიზანია გამარჯვება ანგარიშით 3:0, 4:1, და ა. შ, თუმცა სტატისტიკის თანახმად არც ერთ საბჭოთა გუნდს დასავლეთგერმანული კლუბისთვის ჯერ არ მოუგია 3 ბურთის სხვაობით. იქნებ „დინამო“ იქნეს პირველი? გავიხსენოთ თბილისში მოგებული თამაშები დიდი ანგარიშით ევროპული ტურნირების ეგიდით: სოფიის „სლავიასთან“ — 4:1, ბელგრადის ოფკა-სთან — 3:0, და 5:1, უელსის „კარდიფ-სიტისთან“ — 3:0. სხვათა შორის, სამივე გუნდს „ჰერტაზე“ დიდი გამოცდილება და წარმატებები ჰქონიათ კონტინენტის საკლუბო ტურნირებში.

თბილისის „დინამოს“ მეორეჯერ მოუხდება ერთგვარი ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა: პირველად 1976 წელს თასების თასის გათამაშებაში „კარდიფ-სიტისთან“ ჰქონდა მას წაგებული პირველი თამაში 0:1, და როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, შინ მეტოქეს გეგმაზე მეტი ბურთი შეუგდო — 3.

იგერ უკვე 4 წელია დასავლეთ გერმანიის ოთხივე კლუბი იმარჯვებს უეფა-ს თასის გათამაშების პირველ ეტაპზე, მაგრამ მეთექვსმეტედფინალში ითიშება 1 ან 2, ზოგჯერ 3 კლუბი. გადავხედოთ რა მდგომარეობა აქვთ მათ. გარდა „ჰერტასი“. სამივე თამაშობს შინ და სამივეს აწყობს გამარჯვება მინიმალური ანგარიშით. მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ და „დუისბურგმა“ ფრედ (0:0) ითამაშეს მეტოქეთა მინდვრებზე შესაბამისად პორტუგალიის „ბენფიკასთან“ და გდრ-ის „კარლ ცაისთან“, ხოლო „შტუტგარტმა“ ანგარიშით 1:2 წააგო მოსკოვში „ტორპედოსთან“. „შტუტგარტს“ აწყობს გამარჯვება ანგარიშით 1:0.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სწორედ უეფა-ს თასზე მონაწილეობდა კონტინენტალურ ტურნირებში „ჰერტა“ და სწორედ მეთექვსმეტედფინალში სამჯერ გამოეთიშა გათამაშებას. უკანასკნელად ეს მოხდა 1975 წელს, როცა იგი ჰოლანდიის „აიაქსს“ შეხვდა. პირველი მატჩი საკუთარ მინდორზე „ჰერტამ“ მოიგო 1:0, ხოლო სტუმრად დამარცხდა დიდი ანგარიშით — 1:4. ასე რომ, „ჰერტას“ დამარცხება დიდი ანგარიშით არაა შეუძლებელი საქმე.

როგორც ვხედავთ სტატისტიკურად ძალიან ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ჯობს დავუცადოთ თვით მატჩს, რომელიც ზუსტად გაგვცემს პასუხს ამ კითხვაზე. „ჰერტას“ დამარცხება შეიძლება და, იმედია, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა განაგრძონ ბრძოლა ევროპულ საკლუბო ტურნირში.

ო. ხუბუტია.

---

არმიანსკი (ყირიმი). აქ გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის თამაშები, III ტურში წარმატებით ითამაშეს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა.

## ჭაბუკთა საკავშირო

თბილისის დინამოელებმა ანგარიშით 2:0 სძლიეს აშხაბადელებს, ხოლო „ავაზამ“ დაამარცხა იაროსლავლის გუნდი — 2:1. ლენინგრადელთა შეხვედრა ფრუნზელებთან დამთავრდა პირველთა გამარჯვებით — 6:1.

# თამაშობენ ჩვენი მეტოქეები

სსრ კავშირის ფეხბურთელთა მეტოქეებმა სამივე ევროპულ საკლუბო ტურნირში ჩაატარეს თავიანთი ეროვნული ჩემპიონატების კალენდარული მატჩები.

შვეციის „მალმიომ“, რომელიც ვალ მასპინძლობს კიევის „დინამოს“, დასკვნითი მატჩი ფრედ დამთავრა „ნორჩეპინგთან“ — 0:0 და II ადგილი დაიკავა ეროვნულ ჩემპიონატში.

მოსკოვის „ტორპედოს“ მეტოქემ „შტუტგარტმა“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატში სტუმრად ფრედ ითამაშა მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ — 0:0. თბილისის დინამოელთა მოწინააღმდეგე — დასავლეთ გერმანიის „ჰერტა“ მიუნხენში თამაშობდა „ბაიერნთან“. ეს მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. გფრ-ის ჩემპიონატში „ჰერტა“ ამჟამად XVI ადგილზე იმყოფება 7 ქულით.

---

ფეხბურთი

უმაღლესი ლიგა

## საჩემპიონატო გზასაყარზე

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 28-ე ტურის ტექნიკური მონაცემები.

„დინამო“ მ. — „ქაირათი“ 2:0 (1:0). ალმაათელთა კარში ორივე ბურთი გაიტანა კაზაჩონოკმა. გაფრთხილებულია „ქაირათის“ მოთამაშე ბაიშაკოვი.

დუბლიორები — 2:0.

„ნეფთჩი“ — „დინამო“ კ. 0:1 (0:0). გოლი, რომელმაც კიეველებს მოუტანა გამარჯვება, 48-ე წუთზე გაიტანა ვერემეევმა.

დუბლიორები — 0:0.

„შახტიორი“ — „ტორპედო“ 2:1 (0:1). ანგარიში 21-ე წუთზე გახსნა მოსკოველმა ვასილიევმა. 64-ე წუთზე ლატიშმა აღადგინა თანაფარდობა, 6 წუთის შემდეგ კი სოკოლოვსკიმ მეორედ აიღო „ტორპედოს“ კარი.

დუბლიორები — 1:1.

ცსკა — „დნეპრი“ 1:0 (0:0). გოლი 75-ე წუთზე გაიტანა გრიგორიევმა.

დუბლიორები — 4:0.

„ჩერნომორეცი“ — „ლოკომოტივი“ 0:1 (0:1). ერთადერთი გოლი ამ მატჩში გაზაევმა გაიტანა მე-6 წუთზე. გაფრთხილებულია ოდესელი გოლოვინი.

დუბლიორები — 1:2.

„ზარია“ — „ფახთაქორი“ 2:1 (1:1). ვოროშილოვგრადელი ოლეგის მიერ გატანილი გოლი პირველ ტაიმშივე გაქვითა კურნევმა, მაგრამ მასპინძლებმა მაინც გაიმარჯვეს [illegible] კონტაქტური ფიცხ-ზიაიბულა და ვორონცოვი [illegible].

დუბლიორები — 2:1.

„არარატი“ — „სპარტაკი“ 1:0 (1:0). გოლი მე-10 წუთზე გაიტანა ანდრიასიანმა.

დუბლიორები — 2:1.

• • •

ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას კვლავინდებურად ლიდერობს სპარტაკელი გ. იარცევი, რომელმაც 17 ბურთი გაიტანა. თბილისელი რ. შენგელიას ანგარიშზეა 14 გოლი, ხოლო კიეველი ო. ბლოხინისა — 18.

### გათამაშების ცხრილი

სათადარიგო შემადგენლობანი

მდგომარეობა 1 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 28 | 18 | 4 | 6 | 40—18 | 40 |
| ცსკა | 28 | 15 | 10 | 3 | 45—26 | 40 |
| „დინამო“ მ. | 28 | 13 | 9 | 6 | 35—19 | 35 |
| „დინამო“ კ. | 28 | 13 | 7 | 8 | 29—24 | 33 |
| „შახტიორი“ | 28 | 12 | 8 | 8 | 33—22 | 32 |
| „არარატი“ | 28 | 11 | 10 | 7 | 37—26 | 32 |
| „ნეფთჩი“ | 27 | 12 | 7 | 8 | 38—35 | 31 |
| „ტორპედო“ | 28 | 11 | 6 | 11 | 39—34 | 28 |
| „სპარტაკი“ | 28 | 11 | 5 | 12 | 47—29 | 27 |
| „ჩერნომორ.“ | 28 | 10 | 7 | 11 | 25—33 | 27 |
| „ქაირათი“ | 28 | 8 | 8 | 12 | 33—38 | 24 |
| „ფახთაქორი“ | 27 | 7 | 10 | 10 | 27—31 | 24 |
| „ლოკომოტ.“ | 28 | 7 | 8 | 13 | 25—40 | 22 |
| „ზენიტი“ | 26 | 6 | 8 | 12 | 27—43 | 20 |
| „ზარია“ | 28 | 6 | 6 | 16 | 26—60 | 18 |
| „დნეპრი“ | 28 | 0 | 11 | 17 | 20—48 | 11 |

---

პირველი ლიგა

●

# კიდევ ერთი გამარჯვება

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 30 ოქტომბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 2:0 (1:0).

„ტორპედო“: მჭედლიძე, შელია, გოგოლაძე, მელიქია, სვანაძე, ოქროპირაშვილი, ბურკაძე, ქვირია, ფესტვენიძე (თევზაძე), ა. ძამერაძე, ებანოიძე.

„ურალმაში“: ლეონოვი, ხამოხვალოვი, ვოლკოვი, აბაბურკო, ვოიტენკო, კალაშნიკოვი, ვალდიაევი, გურეევი, ვასილჩენკო, ჟურავლიოვი, გოლუბკოვი (რიაზანოვი).

მსაჯი ო. იაუნზემი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:2.

უკვე პირველივე წუთებიდან ცხადი შეიქნა ტორპედოელთა საბრძოლო განწყობა და გამარჯვებისადმი სწრაფვა. ისინი ტემპიანად, სწრაფად უტევდნენ მეტოქის კარს, სადაც სვერდლოვსკელთა მცველები გაჭირვებით აუვიოდნენ სახიფათო მომენტებს და აკრძალულ ილეთებსაც არ ერიდებოდნენ. ერთ-ერთ ასეთ მომენტში ფესტვენიძემ ტრავმა მიიღო ვოლკოვისგან და მწვრთნელები იძულებული გახდნენ შემცვლელი მოთამაშე გამოეყვანათ მინდორზე.

რამდენიმე სახიფათო ბურთი აიღო მეკარე ლეონოვმა. 34-ე წუთზე ძამერაძე მარტოდმარტო აღმოჩნდა კარის წინ, მაგრამ მისი თავური დარტყმა ზემოდან გადასცდა ძელს. ანგარიში გაიხსნა მხოლოდ ტაიმის დასასრულს, როცა მარცხენა ფლანგზე შესრულებული გარღვევის შემდეგ ბურთი მიიღო სვანაძემ, ზუსტად ითამაშა და „ურალმაშს“ ცენტრიდან მოუხდა თამაშის დაწყება.

ბრძოლის სურათი არ შეცვლილა შესვენების შემდეგაც. ტორპედოელები კვლავ უტევდნენ, სტუმრები გაძლიერებული ძალით იცავდნენ თავს და გოლი ისევ ბოლო წუთებში იქნა გატანილი. ეს ბურკაძემ შეძლო საჯარიმო დარტყმის შემდეგ — 2:0.

შ ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: ასკ (დონის როსტოვი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 2:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:0, „კრილია სოვეტოვ“ (კუიბიშევი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:1, „დინამო“ (მინსკი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 3:0, „გალგორისი“ (ვილნიუსი) — ასკ (ოდესა) 3:2, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:1, „კარპატი“ (ლვოვი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 5:2, „პამირი“ (დუშანბე) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 3:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „თერგი“ (გროზნო) 1:1.

დამოუკიდებლად იმისა, თუ რა შედეგებით დამთავრდება ბოლო ტურის შეხვედრები I ლიგაში, როსტოვის არმიელთა გუნდმა და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ საგაისოდ გაინაღდეს უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ რ. | 37 | 20 | 14 | 3 | 63—31 | 54 |
| „კრ. სოვეტ.“ | 37 | 20 | 14 | 3 | 55—24 | 54 |
| „კარპატი“ | 37 | 21 | 10 | 6 | 60—34 | 52 |
| „დინამო“ მნ. | 37 | 20 | 11 | 6 | 54—28 | 51 |
| „თერგი“ | 37 | 16 | 8 | 13 | 53—53 | 40 |
| „ტავრია“ | 37 | 14 | 12 | 11 | 48—37 | 40 |
| „გალგორისი“ | 37 | 11 | 18 | 8 | 38—37 | 40 |
| „ყუბანი“ | 37 | 15 | 9 | 13 | 50—46 | 39 |
| „ნისტრუ“ | 37 | 13 | 10 | 14 | 42—40 | 36 |
| „ტორპედო“ | 37 | 13 | 9 | 15 | 42—41 | 35 |
| „შინიკი“ | 37 | 12 | 10 | 15 | 37—41 | 34 |
| „პამირი“ | 37 | 10 | 13 | 14 | 44—38 | 33 |
| ასკ ოდ. | 37 | 11 | 10 | 16 | 42—51 | 32 |
| „მეტალ“. | 37 | 9 | 14 | 14 | 36—46 | 32 |
| „კუზბასი“ | 37 | 12 | 7 | 18 | 38—52 | 31 |
| „ურალმაში“ | 37 | 10 | 11 | 16 | 30—47 | 31 |
| „სპარ.“ ი.-ფ. | 37 | 12 | 6 | 19 | 40—56 | 30 |
| „დინამო“ ლ. | 37 | 7 | 13 | 17 | 45—62 | 27 |
| „სპარ“. ორ. | 37 | 9 | 8 | 20 | 28—50 | 26 |
| „კოლხოზჩი“ | 37 | 7 | 9 | 21 | 27—58 | 23 |

●

### გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IV ზონა

მდგომარეობა 1 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 44 | 25 | 10 | 9 | 72—36 | 60 |
| „გურია“ | 44 | 22 | 11 | 11 | 79—47 | 55 |
| „ტორპედო“ | 44 | 20 | 11 | 13 | 60—35 | 51 |
| „შირაკი“ | 44 | 18 | 14 | 12 | 68—47 | 50 |
| „დრუჟბა“ | 44 | 22 | 5 | 17 | 57—48 | 49 |
| „რუბინი“ | 44 | 19 | 11 | 14 | 63—50 | 49 |
| „დინამო“ ზ. | 44 | 19 | 11 | 14 | 61—45 | 49 |
| „ავტომობ.“ | 44 | 20 | 8 | 16 | 59—58 | 48 |
| „ზენიტი“ | 44 | 16 | 16 | 12 | 65—49 | 48 |
| „კოტაიკი“ | 44 | 21 | 5 | 18 | 59—59 | 47 |
| „ტურბინა“ | 44 | 21 | 5 | 18 | 52—60 | 47 |
| „ლოკომოტ.“ | 44 | 19 | 8 | 17 | 70—69 | 46 |
| „დილა“ | 44 | 16 | 14 | 14 | 56—53 | 46 |
| „გაზოვიკი“ | 44 | 17 | 10 | 17 | 58—52 | 44 |
| „დინამო“ ბ. | 44 | 16 | 12 | 16 | 50—46 | 44 |
| „დინამო“ კრ. | 44 | 17 | 9 | 18 | 64—59 | 43 |
| „ყარაბახი“ | 44 | 17 | 9 | 18 | 46—46 | 43 |
| „ურალეცი“ | 44 | 16 | 8 | 20 | 62—64 | 40 |
| „დინამო“ ს. | 44 | 15 | 10 | 19 | 60—65 | 40 |
| „გასტელო“ | 44 | 15 | 9 | 20 | 47—56 | 39 |
| ფიზკ. ინსტ. | 44 | 10 | 15 | 19 | 34—48 | 35 |
| „ხაზარი“ | 44 | 12 | 7 | 25 | 42—77 | 31 |
| „პროგრესი“ | 44 | 13 | 3 | 28 | 45—87 | 29 |
| „არაზი“ | 44 | 8 | 5 | 31 | 36—110 | 21 |



# ჩემპიონატის შედეგები და ოლიმპიადა — 80-ის პროგნოზები

ბონი. დასავლეთ ბერლინში მოცურავეთა მსოფლიო ჩემპიონატში დამყარებულ მრავალრიცხოვან მსოფლიო მიღწევებსა და სხვა მაღალ შედეგებზე თავიანთ აზრს გამოთქვამენ სპეციალისტები, წარსულში ცნობილი სპორტსმენები. აი, როგორი მასალები გამოაქვეყნა ჟურნალმა „კიკერმა":

**პეტერ ნოკე (გფრ) — თავისუფალი სტილით ცურვაზე:**

„100 მეტრზე ფინალური გაცურვა პირდაპირ ფანტასტიკური იყო! ტაქტიკური თვალთახედვით, ეს იყო კლაუს შტაინბახის საუკეთესო გაცურვა. მომენტი იხელთა თუ არა, იგი არნახული სისწრაფით გაიჭრა ფინიშისკენ, ხოლო ამას მსოფლიო რეკორდი რომ არ მოჰყვა, დამნაშავე იყო ცივი ამინდი. ჯონი სკინერის მსოფლიო რეკორდი (49,44) უდიდესი მიღწევაა. ჩემის აზრით, მოსკოვის თამაშებში სპრინტში გამარჯვებისთვის საკმარისი იქნება 49,5. რაც შეეხება 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვას, მეგონა, რომ მსოფლიო რეკორდი (1.50,29) გაუმჯობესდებოდა, მაგრამ ეს არ მოხდა. მით უმეტეს, მოსკოვის ოლიმპიადაში გამარჯვებისთვის აუცილებელი იქნება გრძელი სპრინტის 1.48,0-ში და უფრო სწრაფად დაფარვა".

**დონ შოლანდერი (აშშ) — თავისუფალი სტილით სტაიერულ დისტანციებზე:**

„ის, რომ საბჭოთა მოცურავემ ვლადიმერ სალნიკოვმა მოიგო ამერიკელთა ტრადიციული დისტანცია (400 და 1500 მ), რა თქმა უნდა, ოკეანესგაღმელ სპორტსმენთათვის უმტკივნეულო არ იყო, მაგრამ ამან მაინც არ დააბნია ისინი. ეჭვი არ მეპარება, რომ მოსკოვის ოლიმპიადამდე ამერიკის გუნდში ახალი სპორტსმენები გამოჩნდებიან. ოლიმპიადა-80-ში გამარჯვებისთვის საჭირო იქნება თავისუფალი სტილით 400 მეტრის 3.47,5-ში და 1500 მეტრის 14.46,0-ში გაცურვა (ახლანდელი მსოფლიო რეკორდებია — 3.51,56 და 15.02,40)".

**დევიდ უილკი (დიდი ბრიტანეთი) — ბრასით ცურვაზე:**

„მსოფლიო ჩემპიონატში ვალტერ კუშის ასეთ ბრწყინვალედ ასპარეზობას მართალი რომ ვთქვა, არ მოველოდი, ისევე როგორც არ მოველოდი ორივე საბჭოთა მოცურავის წინასწარ გაცურვებში შეჯიბრებიდან გამოთიშვას. მოულოდნელი იყო ჩემთვის ამერიკელი ნ. ნევიდის გამარჯვება 200-მეტრიან დისტანციაზე.

ჩემის აზრით, უმაღლეს სტანდარტებს ყველაზე უფრო შეესაბამება ჰარალდ მერკენი (გდრ), მაგრამ ეს სეზონი მისთვის უიღბლო გამოდგა. გამორიცხული არ არის, რომ მოსკოვში 1980 წელს იგი შეძლებს 100 მეტრის 1.02,3-ში, ხოლო 200 მეტრის 2.14,0-ში დაფარვას. ეს შედეგები აუცილებელია 1980 წელს ოლიმპიური ოქროს მედლის მოსაპოვებლად (ახლანდელი რეკორდებია — 1.02,86 და 2.15,11)".

**ჯონ ნაბერი (აშშ) — გულაღმა ცურვაში შეჯიბრებაზე:**

„თუმცა 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ამ სახეობებში არ დამყარდა მსოფლიო რეკორდები, მაგრამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკელი მოცურავეების ორმაგმა გამარჯვებამ და მათმა შედეგებმა. 200-მეტრიან დისტანციაზე ჯესი ვასალო უფრო სწრაფად დაფარავდა დისტანციას მწვავე კონკურენცია რომ ყოფილიყო.

ოლიმპიადა-80-ისთვის არ მინდა რაიმე ზუსტი პროგნოზების გაკეთება, მაგრამ დარწმუნებით ვიტყვი, რომ ამჟამად არსებული ჩემი მსოფლიო რეკორდები (55,49 და 1.59,19) ორივე გაუმჯობესდება".

**მარკ სპიტცი (აშშ) — ბატერფლაით ცურვაზე:**

„ჩემი თანამემამულეების ორი ორმაგი გამარჯვება ბატერფლაის სტილით ცურვაში, რა თქმა უნდა მახარებს. დახურულ აუზში ორივე დისტანციაზე უეჭველად დამყარდებოდა მსოფლიო რეკორდი. სამწუხაროდ, ფინალური გაცურვების დროს საკმაოდ გრილოდა. შესაძლოა ბატერფლაის სტილით ცურვაში ამჟამინდელი მსოფლიო მიღწევა (54,18 და 1.59,23) გაუმჯობესდეს მომავალ სეზონში, ყველაზე გვიან 1980 წელს მოსკოვში. იქ გამარჯვებულმა 100 მეტრი 53,5-ში და 200 მ 1.57,0-ში უნდა დაფაროს!".

**სტივ ფერნისი (აშშ) — კომპლექსურ ცურვაზე:**

„მე განმაცვიფრა ორმა მსოფლიო რეკორდმა (200 მ — 2.03,65 და 400 მ — 4.20,05). არ მეგონა თუ ედმონტონის თანამეგობრობის თამაშების გმირი 200 მეტრზე ცურვაში, მსოფლიო ჩემპიონი, კანადელი გ. სმითი შეძლებდა ასე სწრაფად ძალების აღდგენას. ძლიერია ვასალო. კარგი მომავალი აქვს მეორე ამერიკელ მოცურავეს ს. ლუნდკვისტს. მოსკოვის ოლიმპიადის წინ არ უნდა გამოგვრჩეს ვიცე-ჩემპიონი 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ს. ფესენკო (სსრ კავშირი), განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა დედაქალაქში პროგრამაში დარჩება მხოლოდ ერთი — გრძელი კომპლექსური დისტანცია. ჩემის აზრით, ვისაც მოსკოვში გამარჯვება სურს 400 მეტრი ოთხი სტილით 4.17,0-ში უნდა დაფაროს!".

**იუტა ვებერი (გფრ) — სპრინტზე:**

„მე გამაოცა იმან, რომ ამერიკელებმა სინტია ვუდხედი 100-მეტრიანი დისტანციის ნაცვლად, 800 მეტრზე გამოიყვანეს. პატარა „სიპიმ" ერთადერთმა შეძლო 200 მეტრზე თავისუფალი სტილით გამარჯვების შემდეგ კონკურენცია გაეწია მოკლე სპრინტში ბარბარა კრაუზესათვის (გდრ). გამიხარდა გდრ-ის გოგონების წარმატება, რომლებმაც შეჯიბრების ბოლო დღეს შეძლეს ერთი ოქროს მედლის მოპოვება. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში არც ერთი ამერიკელი არ იყო მედალოსანთა შორის. ეს საოცარი იყო, იმდენად რამდენადაც ისინი პირველები იყვნენ 4X100 მეტრზე ესტაფეტაში! როგორც ჩანს, მათ უფრო აღელვებდათ რეკორდები სხვა დისტანციებზე, რადგან თუ 100 მეტრზე ცურვაში მსოფლიო მიღწევა (55,41) არ გაუმჯობესებულა, 200 მეტრზე ნაჩვენები იქნა ფანტასტიკური შედეგი — 1.58,53! მოსკოვში გამარჯვებისთვის, ჩემის აზრით, საჭირო იქნება თავისუფალი სტილით 100 და 200 მეტრის გაცურვა 55,0 და 1.58,0-ში შესაბამისად".

**დები მაიერი (აშშ) — თავისუფალი სტილით სხვა დისტანციებზე ცურვაზე:**

„ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა 400 და 800 მეტრზე ფინალურმა გაცურვებმა. ყველაზე მეტად გამაოცა ავსტრალიელი ტრეისი უიკჰემის „ოქროს ღუმელმა". მან ფენომენალური მსოფლიო რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე (4.06,28), ხოლო 800-მეტრიან დისტანციაზე სულ ცოტა დააკლდა თავის უმაღლეს მიღწევამდე (8.24,62). ვარჯიშის თანამედროვე მეთოდიკა შესამჩნევად წასწევს წინ სარეკორდო ზღვრებს. დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვის ოლიმპიური ჩემპიონები შეცვლიან ჩვენს წარმოდგენას ადამიანის შესაძლებლობაზე".

**კრისტელ იუსტენი (გფრ) — 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი — ბრასისტი ქალების შეჯიბრებაზე:**

„1974 წელს დამყარებული ჩემი მსოფლიო რეკორდით (1.12,55) ძლივს გავიდოდი დასავლეთ ბერლინში ფინალში. მოცურავე გოგონათა უმრავლესობამ შესამჩნევად გაზარდა შედეგები. ამიტომ ყველაფერს წამის მეასედები წყვეტენ: მწყინს, რომ დაგმარ რეხაკს წამის მეასედი არ ეყო ჩემს მიერ დამყარებული ქვეყნის რეკორდის გასამეორებლად.

სენსაცია იყო ჩემთვის ამერიკელი ტრეისი კოლკინზის წარუმატებლობა 200 მეტრზე წინასწარ გაცურვებში.

ოლიმპიადა-80-ში, ეჭვი არ მეპარება, რომ ახლანდელი მსოფლიო მიღწევები (1.10,31 და 2.31,42) 1.09,5 და 2.28,5-მდე გაიზრდება".

**ადა კოკი (ჰოლანდია) — ბატერფლაით ცურვაზე:**

„მართალი რომ ვთქვა მეტს მოველოდი. 100 მეტრზე შეჯიბრების მონაწილეებმა მსოფლიო რეკორდამდე (59,46) ვერ მიაღწიეს, 200 მეტრზე კი მხოლოდ გაიმეორეს იგი (2.09,87).

იმას, რომ ჩემპიონობის ორივე წოდებას ბატერფლაით ცურვაში ამერიკელი გოგონები მოიპოვებდნენ, წინასწარ არავინ ფიქრობდა. მაგრამ ჩემპიონატის დროს კრისტინა კნაკე (გდრ), რომ საავადმყოფოში არ წოლილიყო, მაშინ იგი, რომელმაც მსოფლიოში პირველმა გაცურა 100 მეტრი ერთ წუთზე ნაკლებ დროში, შეიტანდა კორექტივს უძლიერესთა შორის ადგილების განაწილებაში. ასპარეზობის სტარტზე ცოტა რაოდენობით გამოვიდნენ ძლიერი სპორტსმენები. მოსკოვში სულ სხვანაირად იქნება. თუმცა ძალიან სარისკოა, მაგრამ ვიტყვი, რომ გოგონათა შორის ბატერფლაის სტილით ცურვის ზღვარი გაიზრდება 57,8 და 2.06,7-მდე!".

**კრისტინ კარონი (საფრანგეთი) — გულაღმა ცურვაზე:**

„ის, რომ გდრ-ის სპორტსმენებმა ორჯერ დაუთმეს ამერიკელ ლინდა ჯეზეკს, ჩემთვის რა თქმა უნდა, სენსაცია იყო. მიკვირს ლინდამ 100 მეტრი უფრო სწრაფად რატომ ვერ გაცურა.

ოლიმპიადა-80-ში ამ სახეობის ზღვარი იქნება 1 წუთი და 2.10".

**დონა დე ვარონა (აშშ) — კომპლექსურ ცურვაზე:**

„სპორედ კომპლექსურ ცურვაში მიაღწიეს ქალებმა საოცარ პროგრესს, რომელსაც ბოლო არ უჩანს. მოსკოვის ოლიმპიადამდე 400 მეტრს 4.40-ზე უფრო სწრაფად დაფარავენ. ვინაიდან 200 მეტრი ამოღებულია ოლიმპიური პროგრამიდან, მთელ თავიანთ ძალებს თავს მოუყრიან ამ დისტანციაზე. თუ ტრეისი კოლკინზი შეძლებს ახლანდელი ტემპის შენარჩუნებას, მაშინ 1980 წლის თამაშებში იგი გადალახავს 4.40,83 ზღვარს. (საკდესი).

• • •

**ვილნიუსელი** მოსწავლე ლ. კაჩიუშიტე დასავლეთ ბერლინში გამართულ მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკლებად ცნობილ სპორტსმენად ჩავიდა. იქიდან კი ჩემპიონის ოქროს მედლითა და მსოფლიოს რეკორდსმენის სახელით დაბრუნდა. ესოდენ დიდ წარმატებას 15 წლის კაჩიუშიტემ 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში მიაღწია.

• • •

**სურათზე:** ლ. კაჩიუშიტე (მარცხნიდან მესამე) სკოლის მეგობრებთან ერთად.

საკდესის ფოტო.

## ხელბურთი

### ქულები გაიყვეს

**ზაპოროჟიეში** დაიწყო სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის დასკვნითი ტური VII-XII ადგილებისთვის მებრძოლ გუნდებს შორის. თბილისის „ბურევესტნიკი" შეხვდა რიგის „ცელტნიეკსს". პირველი ტაიმი მოიგეს ლიტველებმა სამი ქულის სხვაობით — 9:6. შესვენების შემდეგ თბილისელმა ხელბურთელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. 20:20 — ასე დამთავრდა ეს შეხვედრა.

არმიელთა ორი გუნდის — კიევისა და ბაქოს შეხვედრაში ანგარიშით 28:19 (14:12) გაიმარჯვეს უკრაინელებმა, ხოლო მინსკისა და ლვოვის ასკ-ს მატჩი დამთავრდა ფრედ — 26:26 (13:9).

ჩემპიონატის I-VI ადგილებისთვის მებრძოლი გუნდები ასპარეზობენ ქალაქ ალიტუსში (ლიტვა). ფინალის მეორე ტურში კვლავ გაიმარჯვა გათამაშების ლიდერმა ცსკა-მ 25:20 (10:11) ზაპოროჟიეს ზიი-სთან. მოსკოვის გუნდების — მაი-სა და „კუნცევოს" მატჩში გაიმარჯვა პირველმა — 23:20 (10:8).

## სპორტული ნოემბერი

ნოემბერში ჩვენი რესპუბლიკის [illegible] გაიმართება შემდეგი ღონისძიებები:

1-9. [illegible] საქართველოს ჩემპიონატი პირველი ჯგუფის ქალთა ჯგუფებს შორის (პირველი წრე). თბილისი.

1-8. **ფრენბურთი.** საქართველოს ვაჟთა გუნდების ჩემპიონატის მეორე წრე. ქუთაისი.

2-3. **ბატუტზე ხტომა.** საქართველოს სსრ ჩემპიონატი. ყვარელი.

2-4. **აკრობატიკა.** საქართველოს სსრ ჩემპიონატი. თბილისი.

3-4. **ქართული ჭიდაობა.** საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადის პროგრამით. თბილისი.

3-10. **ფეხბურთი.** საერთაშორისო ტურნირი საბჭოთა კავშირის გმირის გ. ჭინჭარაძის პრიზზე. ბათუმი, ქობულეთი.

4-9. **ცხენოსნობა.** საქართველოს ჩემპიონატი ეროვნულ სახეობებში. ოჩამჩირე.

8-12. **ფარიკაობა.** საქართველოს თასის გათამაშება. გაგრა.

9-12. **ქართული ჭიდაობა.** ტურნირი ზ. ბაკურაძის პრიზზე. ახმეტა.

9-16. **ფრენბურთი.** საქართველოს ქალთა გუნდების ჩემპიონატის მეორე წრე. ქუთაისი.

15-30. **შაში.** საქართველოს პირველობა რუსულ შაშში ჭაბუკთა შორის. ბათუმი.

17-18. **საგზაო-ტკეცილო ველორბოლა.** საქართველოს ჩემპიონატი კროსში. სოხუმი.

18-23. **თანამედროვე ხუთჭიდი.** საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი.

21-26. **წყალბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი.

23-26. **კლასიკური ჭიდაობა.** საქართველოს ჩემპიონატი. ჭიათურა.

24-26. **წყალში ხტომა.** რესპუბლიკური შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში. თბილისი.

24-28. **კალათბურთი.** 1963-64 წლებში დაბადებული ბიჭებისა და გოგონების რესპუბლიკური პირველობა. თბილისი.

## ჭიდაობა

### ცხინვალელ ფალავანთა წარმატება

**ყაზახეთის** ქალაქ შევჩენკოში ჩატარდა საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის დიდი უკრაინელი პოეტის ტარას შევჩენკოს სახელობის პრიზზე.

სარბიელზე გამოვიდა 100-ზე მეტი სპორტსმენი.

ცხინვალიდან ტურნირზე სამი მოჭიდავე მონაწილეობდა (მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ყაზბეგ მარგიევი).

52 კილოგრამ წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა ვლადიმერ კაზიევმა. მან 6 შეხვედრა ჩაატარა და აქედან ხუთი წმინდად მოიგო, ერთი კი ქულებით. ფინალში კაზიევი შეხვდა ამ ტურნირის გასული წლის გამარჯვებულს, დაღესტნელ ი. მირზაგალიევს და დაძაბული, საინტერესო ბრძოლა ქულებით მოიგო (8:5).

67 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდნენ თეიმურაზ სიუკაევი და ვიტალი ფლიევი. ორივემ ხუთ-ხუთი შეხვედრა მოიგოთ. სიუკაევმა ფინალში ქულებით (3:4) წააგო რსფსრ-ს წარმომადგენელ ი. პეტროვთან და II ადგილი დაიკავა, ვ. ფლიევი კი მესამე ადგილს დასჯერდა.

ვ. მელქოევი

### 3 და 4 ნოემბერს

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი

**ქართულ ჭიდაობაში**

მონაწილეობენ: პროფკავშირული სპორტსაზოგადოების ნაკრები გუნდების საუკეთესო ფალავნები.

დასაწყისი 18 ს.

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ჯაფარიძე.**

ბაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; შადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.
ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02274